საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6025
11/10/2022

6025-21-2-202210111531

შპს „რეჭის“
ელ. ფოსტა: t.gogoladze1@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5005 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯავახოში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 275 მეტრით, თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 130 მეტრში ფიქსირდება შენობა-ნაგებობა (ს/კ: 34.11.48.077). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა–ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის, მე-4 ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად). გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებას თანდართული Shp ფაილები მოიცავს როგორც საპროექტო ტერიტორიას ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. სუფსაში მდებარე ტერიტორიას, რაც არ არის დაკავშირებული სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილ საქმიანობასთან; გარდა ამისა, სკრინინგის განცხადების თანახმად, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯავახოში შპს „ანსას“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 49 232 $მ^2$ ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 34.11.43.007), საიდანაც 23 300 $მ^2$ ფართობის ტერიტორია იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობაში გადაეცა შპს „რეჭის“. Shp ფაილით წარმოდგენილია 49 134 $მ^2$ ფართობის ტერიტორია, რაც ემთხვევა შპს „ანსას“ საკუთრებაში არსებულ მიწის

ნაკვეთს (ს/კ: 34.11.43.007). სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის Shp ფაილები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი Shp ფაილები საჭიროებს კორექტირებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო